


ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა  
გეოგრაფია  
II ტური  
2022-2023 წწ.

➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-6

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. გააანალიზეთ ილუსტრაცია და განსაზღვრეთ, რა ეწოდება მდინარის დელტის იმ ნაწილს, რომელიც აღნიშნულია ციფრი 7-ით?



- ა) გამომუშავებული დელტა;
- ბ) აქტიური დელტა;
- გ) ზემო დელტა;
- დ) წყალქვეშა დელტა.

(1) 2. რომელი კონვენციისთვის წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს „სტამბოლის არხის“ ექსპლუატაციაში შესვლა?



- ა) მონტროს;
- ბ) ვენის;
- გ) ნიუ-იორკის;
- დ) რომის.

(1) 3. მსოფლიოში ყველაზე დიდ დელტაში მდებარეობს დაახლოებით 10 000 კმ<sup>2</sup> გაშლილი სუნდარბანსის მანგროს ტყეები, რომელი მდინარის აუზში მდებარეობს აღნიშნული ტერიტორია?




- ა) ნილოსის;
- ბ) განგის;
- გ) კონგოს;
- დ) ამაზონის.

(1) 4. ლათინური ასოთი აღნიშნულ რომელ სახელმწიფოშია მოსახლეობის რაოდენობა უფრო ნაკლები?

სახელმწიფო	მშპ-ის მოცულობა (აშშ დოლარი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)
A	1.800.000.000	6.000
B	1.200.000.000	3.000
C	300.000.000	50.000
D	100.000.000	10.000

- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D


(2) 5. გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:




(1) 5.1. რუკაზე რომელი ციფრით არის აღნიშნული წიწვოვანი ტყე (ტაიგა)?

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4


(1) 5.2. რომელი დიაგრამა შეესაბამება რუკაზე მოცემულ ინფორმაციას?



(1) 6. რომელი ქალაქის ფოტოებია მოცემული ილუსტრაციებზე?



- ა) დრეზდენის;
- ბ) ვარშავის;
- გ) ბრესტის;
- დ) ჰიროსიმას.







➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 7-9


**ინსტრუქცია**

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.



(6) 7. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი **არ** მეორდება):



	სქემა		ტბის წარმოშობის ტიპი
ა		1	ზღვიური/ლაგუნური/ლიმანური

ბ		2	ვულკანური / კრატერული
ბ		3	ტექტონიკური
ბ		4	შთენილი / ნამდინარევი
ბ		5	მეინვარული


3		6 კარსტული
		7 ნაზვავი-შეგუბებითი

(6) 8. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

	ტერმინი / ილუსტრაცია	განსაზღვრება
ა	 <p>გაიოტი</p>	1 მდინარეთა ხეობებში წყლის ნაკადების მიერ გადატანილი ნალექები, რომელიც შედგება სხვადასხვაგვარად დამუშავებული მასალისგან (კაჭარი, რიყის ქვა, ხვინჭკა და ა.შ.).
ბ	 <p>ბარხანი</p>	2 მცინვარის ან თოვლის მასის შემცირება დნობის, აორთქლების ან მექანიკური ზემოქმედებით.

<p>ბ</p>	 <p>აღუვიონი</p>	<p>3 იზოლირებული ბრტყელთხემიანი ვულკანური წარმოშობის წყალქვეშა მთა, რომელიც აღმართულია ოკეანის კალაპოტიდან ან წყალქვეშა ქედიდან.</p>
<p>დ</p>	 <p>აბლაცია</p>	<p>4 ქარის მოტანილი და მცენარეებით გაუმარგებელი ფხვიერი ქვიშის ბორცვები.</p>
<p>ე</p>	 <p>სედიმენტაცია</p>	<p>5 ბუნებრივ პირობებში ყველა სახის ნალექის წარმოქმნა მოძრავ, შეტივტივებულ ან გახსნილ მდგომარეობაში მყოფი ნაშალი მასალის უძრავ მდგომარეობაში გადასვლით.</p>



3	 <p data-bbox="126 451 738 493">ატოლი</p>	6 მინერალური წვეთებისაგან (პირითადად კირქვისგან) შექმნილი კონუსისებრი წამონაზარდი, რომელიც აღმართულია კარსტული მღვიმის ძირიდან ვერტიკალურად.
		7 წრიული ფორმის მარჯნის კუნძული, რომლის შიგნითაც მდებარეობს ლაგუნა.

**(6) 9. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):**

	დედაქალაქის ფოტო	სახელმწიფო
ა		1 კატარი
ბ		2 დანია

8 ამსტერდამი



3 მაროკო

9 ჰავანა



4 ჰაიტი






<p>0</p>  <p>ფხენიანი</p>	<p>5</p> <p>ჩრდილოეთი კორეა</p>
<p>3</p>  <p>კოპენჰაგენი</p>	<p>6</p> <p>ბელგია</p>
	<p>7</p> <p>კუბა</p>
	<p>8</p> <p>ნიდერლანდები</p>

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 10-12

ინსტრუქცია

გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(6) 10. გაანალიზეთ რუკა, რელიეფის პროფილები და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 10.1. მოცემული რელიეფის პროფილებიდან, რომელი შეესაბამება რუკაზე აღნიშნულ A და B წერტილებს შორის გავლებულ მონაკვეთს?

ა) I

ბ) II

გ) III

დ) IV

(1) 10.2. მდინარე ცივის რომელ ნაპირზე მდებარეობს ჭა?

-----

(1) 10.3. გამოთვალეთ რამდენ მეტრს უდრის მანძილი ჭასა და მდ. ცივზე მდებარე ხიდს შორის, თუ რუკაზე შესაბამისი მონაკვეთის სიგრძე 4.5 სანტიმეტრია (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

-----

-----

-----

(3) 10.4. ფერმერმა უნდა შეარჩიოს მიწის ნაკვეთი ხეხილის ბაღის ჩასაყრელად. მას სჭირდება ნაკვეთი, სადაც გაზაფხულზე უფრო ადრე დადნება თოვლი, ხოლო ზაფხულში ნიადაგი მეტად გათბება მზის სხივებით. ასევე მნიშვნელოვანია პროდუქციის ბაზარზე გატანის სიმარტივეც. განსაზღვრეთ, რუკაზე ციფრებით აღნიშნული რომელი ნაკვეთი (1, 2 თუ 3), უფრო მეტად აკმაყოფილებს ფერმერის მოთხოვნებს. მოიყვანეთ ორი არგუმენტი თქვენი არჩევანის დასაბუთებისთვის.


-----

-----

-----

-----

(5) 11. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 11.1. გრაფიკიდან გამომდინარე, რომელმა ქვეყანამ დაიწყო უფრო ადრე წიგნიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ეფექტური პოლიტიკის გატარება?

(1) 11.2. ახსენით, რატომ არ იწყება თითოეული ქვეყნის ხაზოვანი გრაფიკი 1820 წლიდან?

(3) 11.3. რომელი წლებიდან დაიწყო მსოფლიოში წერა-კითხვის მცოდნეთა მკვეთრი ზრდა? დაასახელეთ ასეთი მკვეთრი ზრდის ორი მიზეზი.

(4) 12. გაანალიზეთ სტატისტიკური ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

**ცხრილი I** **სულადობა რეგიონების მიხედვით**  
(წლის ბოლოსათვის, ათასი სული)

	2018	2019	2020	2021
<b>საქართველო</b>	<b>819.1</b>	<b>841.9</b>	<b>896.2</b>	<b>904.3</b>
იმერეთი	15.7	14.7	15.9	16.1
კახეთი	496.8	497.3	552.1	527.4
მცხეთა-მთიანეთი	58.2	50.8	53.5	60.4
სამცხე-ჯავახეთი	56.0	63.5	65.6	60.2
ქვემო ქართლი	167.3	188.2	179.2	203.7
შიდა ქართლი	18.7	21.4	23.6	30.7
დანარჩენი რეგიონები	6.5	5.9	6.4	5.7

**ცხრილი II** **წარმოება რეგიონების მიხედვით** (ათასი ტონა)

	2018	2019	2020	2021
<b>საქართველო</b>	<b>17.0</b>	<b>24.0</b>	<b>32.7</b>	<b>46.0</b>
აჭარის არ	1.3	3.5	3.2	5.1
გურია	1.9	4.0	5.8	8.5
იმერეთი	1.4	1.3	3.4	4.5
კახეთი	2.3	3.9	2.1	4.2
მცხეთა-მთიანეთი	0.1	0.1	0.1	0.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.5	10.8	17.6	23.1
ქვემო ქართლი	0.3	0.2	0.3	0.4
შიდა ქართლი	0.1	0.1	0.2	0.1
დანარჩენი რეგიონები	0.1	0.1	0.1	0.1

**ცხრილი III** **წარმოება რეგიონების მიხედვით** (ათასი ტონა)

	2018	2019	2020	2021
<b>საქართველო</b>	<b>66.3</b>	<b>64.0</b>	<b>56.8</b>	<b>61.6</b>
აჭარის არ	48.2	50.0	37.6	49.7
გურია	13.3	10.6	13.3	9.2
იმერეთი	0.4	0.4	0.8	0.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.4	3.0	5.1	2.0

**ცხრილი IV**

	ბოსტნეულის ნათესი ფართობი (ათასი ჰექტარი)				ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა)			
	2018	2019	2020	2021	2018	2019	2020	2021
<b>საქართველო</b>	<b>12.3</b>	<b>12.6</b>	<b>12.7</b>	<b>11.4</b>	<b>142.2</b>	<b>161.1</b>	<b>176.1</b>	<b>149.0</b>
ქ. თბილისი	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.4	0.5	0.3
აჭარის არ	0.5	0.4	0.3	0.3	4.6	5.2	6.5	5.2
გურია	0.3	0.3	0.3	0.3	1.1	1.6	2.5	1.9
იმერეთი	1.5	1.7	1.4	1.4	17.2	18.1	16.1	17.1
კახეთი	2.4	2.3	2.4	1.6	21.5	19.2	21.1	14.8
მცხეთა-მთიანეთი	0.2	0.2	0.2	0.3	1.8	1.5	1.4	1.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.1	0.1	0.1	0.1	1.0	0.7	0.9	0.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.7	0.6	0.7	0.7	6.9	6.1	10.2	6.5
სამცხე-ჯავახეთი	0.9	0.8	0.8	0.7	6.1	6.4	8.0	4.1
ქვემო ქართლი	2.3	2.1	2.1	2.0	43.0	41.7	42.6	39.3
შიდა ქართლი	3.4	4.1	4.2	4.0	38.9	60.3	66.4	57.3

(1) 12.1. მეცხოველეობის რომელი დარგის სტატისტიკური მონაცემებია მოცემული I ცხრილში?

-----

(1) 12.2. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის სტატისტიკური მონაცემებია მოცემული II ცხრილში?

-----

(1) 12.3. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტატისტიკური მონაცემებია მოცემული III ცხრილში?

-----

(1) 12.4. ცხრილი IV-ის მიხედვით რომელ რეგიონშია ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა) უფრო მაღალი 2021 წელს?

-----